

ანტივირუსით სარგებლობის წესები

1. ლიცენზირებული ანტივირუსით (შემდგომში: „ანტივირუსი“) სარგებლობა შეუძლია „სილქნეტის“ ყველა იმ ფიზიკურ პირს (შემდგომში: „აბონენტი“), რომელიც სარგებლობს „სილქნეტის“ ინტერნეტ მომსახურებით და დარეგისტრირებულია „სილქნეტის“ პორტალზე www.myaccount.silknet.com (შემდგომში: „პორტალი“).
2. „ანტივირუსის“ შეძენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:
 - 2.1. „ანტივირუსის“ შეძენის მომენტში, „აბონენტის“ მომსახურების ლიმიტზე, დარჩენილია სასურველი „ანტივირუსით“ სარგებლობის არანაკლებ 1 თვის ღირებულების შესაბამისი თანხა;
 - 2.2. „აბონენტს“ არ აქვს შეზღუდული ინტერნეტ –მომსახურების მიწოდება.
3. „ანტივირუსის“ შეძენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, „აბონენტის“ მიერ „პორტალზე“ ღილაკის – „შეკვეთა“ გააქტიურებით, წინამდებარე წესებში მითითებული შეზღუდვების გათვალისწინებით.
4. „ანტივირუსის“ გააქტიურება (ამოქმედება) ხდება „აბონენტის“ მიერ „პორტალზე“ ღილაკის – „შეკვეთა“ გააქტიურების, „ანტივირუსის“ „პორტალიდან“ ჩამოტვირთვის და კომპიუტერზე ინსტალაციის შემდგომ.
5. „ანტივირუსით“ სარგებლობის შეწყვეტა ხორციელდება:
 - 5.1. „აბონენტის“ მიერ „ანტივირუსის“ შეძენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდგომ, ნებისმიერ დროს, „პორტალის“ საშუალებით ან „სილქნეტის“ სერვის – ცენტრში გამოცხადებით („აბონენტის“ მიერ, აღნიშნულ ვადაზე ადრე, „ანტივირუსით“ სარგებლობის შეწყვეტა, შესაძლებელია მხოლოდ „ანტივირუსით“ სარგებლობის უფასო საცდელი პერიოდის განმავლობაში (ასეთის არსებობისას), ნებისმიერ დროს));
 - 5.2. ინტერნეტ – მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, ინტერნეტ – მომსახურების შეწყვეტის დღესვე.
 - 5.3. წინამდებარე წესების შენიშვნაში აღნიშნულ შემთხვევაში.
6. „აბონენტის“ მიერ „ანტივირუსით“ სარგებლობის შეჩერება, შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტ–მომსახურების შეჩერების შემთხვევაში.
7. „აბონენტის“ ანგარიშზე „ანტივირუსით“ სარგებლობის ღირებულების დარიცხვა ხდება „აბონენტის“ მიერ „ანტივირუსის“ შეძენიდან („პორტალის“ შესაბამის ველში ღილაკის – „შეკვეთა“ გააქტიურების დღიდან), ხოლო „აბონენტის“ მიერ „ანტივირუსით“ სარგებლობის ყოველთვიური ღირებულების გადახდა ხდება ინტერნეტ–მომსახურების სააბონენტო გადასახადთან ერთად.
8. „აბონენტის“ ერთი მომსახურების ანგარიშზე, ერთდროულად შესაძლებელია ერთი და იგივე მწარმოებლის მხოლოდ ერთი „ანტივირუსის“ შეძენა;
9. შეძენილი „ანტივირუსით“ სარგებლობის ვადა გრძელდება ავტომატურად, წინამდებარე წესებში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით.
10. შეძენილი „ანტივირუსით“ სარგებლობის ყოველთვიური ღირებულების დარიცხვა, გრძელდება ავტომატურად გარდა 5.1., 5.2. და 6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10. „სილქნეტი“ არანაირი სახით არ აგებს პასუხს „ანტივირუსის“ ხარისხზე ან/და იმ შემთხვევებზე, თუ „ანტივირუსის“ თვისებები/მოქმედება არ შეესაბამება „აბონენტის“ სუბიექტურ მოლოდინს.
11. „ანტივირუსის“ მოქმედების შესახებ ინფორმაცია, „აბონენტს“ შეუძლია იხილოს შესაბამისი „ანტივირუსის“ მწარმოებლის ვებ გვერდზე.

შენიშვნა:

ანტივირუსით კასპერსკი (Kaspersky) სარგებლობისას, ამავე ანტივირუსის ერთი სააქტივაციო გასაღების გამოყენება, შესაძლებელია მხოლოდ 5-ჯერ (მაგ: ვინდოუსის გადაყენებისას თავიდან ხდება საჭირო სააქტივაციო გასაღების შეყვანა და აღნიშნული გასაღების აქტივაციის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს). აღნიშნულის შემდგომ, ანტივირუსით სარგებლობა შესაძლებელია "აბონენტის" მიერ ამავე ანტივირუსის გაუქმების (როგორც ეს მითითებულია წინამდებარე წესების 5.1. პუნქტში) და მისი ხელახლა შექმნის შემთხვევაში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გასაღების აქტივაციის ამოწურვის შემდგომ, აბონენტის მიერ არ მოხდა ანტივირუსის გაუქმება, ანტივირუსით სარგებლობის ღირებულების დარიცხვა გაგრძელდება ავტომატურად.